

ს ვ ა ლ ი



სალიბერატუმო და სამეცნიერო ნახატოვანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 43.

ოქტომბერი 17, 1893 წ.

№ 43.

შისარსია:—მოამბის გამო, ლექსი რ. საჯიებოვლისა.—ქართული საზიოზა.—„ღ.“ ლექსი დეტუ მგერელისა.—საშერტრო ნდობა გ. წერეთლისა.—წავი ვ.—ლისა. — არჩილური გამოცანა, ლექსი ვ. ღვანკთელი.—გლეტერი (მეინვარი) ვ.—ლისა.—კრიტიკა: შოტკული მშობისა და უროთერობისა ზომელისა.—შორს წამულელს მძის, თ. რაზიკაშვილისა.—განკარტულეზა ვ. ნინოშვილისა.—სახუზარო ვასარობა

ქართული თეატრი

დღეს, 17 ოქტომბერს

ქართულ დრამატულ საზოგადოების დასის მიერ

არტისტ კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით

წარმოადგინილი იქნება:

ს ა მ შ ო ზ ო რ

დრამა ნ შოტ. დ. კრისთავისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიზი.

ლიზა, მძინაროვისა, და სსვ. ბბ. აბაშიძე, ყი.

ფიანი, სვიმონიძე და სსვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასწყისი 7¹/₂ საათზედ

«მოამბის» გამო

იულოცავ ჩვენს სამშობლოს

«მოამბისა» დაარსებას,

თან ვისურვებ: ქართულ თურნალ გაზეთების გასებას.

ასი ათასს ხელის მომწერს,

ასი ამდენს მკითხველებსა.

გაზეთების მუდმივ კითხვა
სჯულათ ედვათ ქართველებსა.

მათი კითხვა მიემჩნით
მსაზრდოებლად ერთად პურთან,
რომ შეერთდეს ქართველების
აზრი აზრთან, გული გულთან.

მდიარს, ღარიბს, ჭაბუკს, მოხუცს,
თმა-შერეულ ჭადარასა,
ქართველური ღბინი ქონდეთ,
სტემდენ დაფს და ნაღარასა.

ზედაქციებს რომ არ ჰქონდესთ
ერთმანეთის მტრობა, შური,
ერთის აზრით გამსჭვალულთა
სიყვარული ქონდეთ მშური.

«ივერიამ» ყოველ-დღიურ
ჭირსა და ღბინს უვლოს ყური,
საქმე საქმეთ მოავგაროს,
გავგიწიოს სამსახური.

აწონ-დაწონ-გაზომასა
შემდეგ იტყვის ღინჯად «კელი:»



შვიდ დღეს იცდის, მერამე ამბობს,
ჩასაც გადააელო თვალნი.

„მწუყემს“ სულ დიდი ვალი ადგეს,
საქმეს კარგა ჩაუკვირდეს,
სახარების კეცლის მისდღოს
ჩაგინდ მძიმედ გაუჭირდეს.

საღვთო საქმე და საერო,
შუუხამოს ურთიერთსა;
კვისარსა მისი მისცეს
და ღვთის ღმერთსა ერის-ერსა.

„მოამგემ“ სულ გავგებარა
ნაქად-დანაპირი უხვით,
თანამშრომნიც შემოკრიბა
საქართველოს ყველა კუთხით.

თვეში ერთხელ, დარბაისლად
მოგვიყობა ყველა საგნებს,
მცხებელ სათქმელს მოამყიფებს,
გაუგებარს გამოაგნებს.

„ჯეჯილს“ სულ სხვა მიზანი აქვს,
არ გადუხვევს ის აროდეს,
ყრმებს გონების საზრდოს აწედის,
მისთვის უნდა გვიხაროდეს.

მწერალს ძლიერ-მოსილია
აქ შეშენის მრავალ-გვარად,

სწეროს უნდა: ნორჩი გრძნობის
შესაფერათ, შესადარად.

მართლ; თითქოს დამაიწყდა
მოურავი ენი კუქის:
„მეურნე“ ედ“ მოგახსენებთ,
ნეტა საქმე ხომ არ უჭირს?


ამან უნდა თვისი რჩევით
მ-წათ-მოქმედს რამე არგოს:
ხენა და თესვა, მყნა და სხელათ
შეასწავლოს, უქადაგოს.

ვენახს როდის უნდა ბარვა,
ან ჩასობა ძირში ჭიკოს;
ამგვარები მუშას უნდა
მოუყვეს და უჭიკიკოს...

აი, რაც აქ ჩამოვთვალეთ.
დიდება და ქონებანი,
ამით უნდა ევაჯიჯიშოთ
ჩენი გრძნობა, გონებანი;

ამათ უნდა შეგვიკრიბონ
დიდი განძი, დიდი ღარი;
ჭკუის, გრძნობის და გონების
მზრდელი, მწრთენელი, რაც რამ არი.

რ. საჯავახოელი.



ქართული სახიობა

ღრამა „სტუმარი“ ბრანდისისა, თარგმ. მაკვარია-
ნისა, „არია მონასტერი“ — კომედია.



სე ამბავი არ ახალია, ძველიაო“ ზედ გამო-
ჭრილი ნათქვამია, ბრანდისის ღრამაზე. ეის
არ უნახავს სტენაზე კოლქობითი კავში-
რის შებღალვა დანაშაულობის ვაჟო. თვით სა-
განიც ისეთია, რომ ზელოვანებისათვის ძალიან ადვი-
ლი საშუალებაა, გამოიყვანოს კოცხლად მაყურებლის
თვალ-წინ შინაგანი მხარე კაცის გულისთქმისა, მი-
სი სულის შემრყეველი ბრძოლა, მისი ბუნებითი
თვისება და ხასიათი. მარტო ეს მხარე რომ იყოს
ბრანდისის ღრამის საგნათ, ხსენებათაც არ ეღირე-
ბოდა. მაგრამ ბრანდისის ღრამში სხვა რამეა უფრო
ძალი, უფრო საგულისხმო განათლებულის ახლან-
დელის კაცობრიობისა. ეს სხვა რამე იმაში მდგომა-
რეობს, თუ როგორ იტანს განათლებული ბუნება
ეროპიელისა მის პიროვნების დამკირებებს და მწუ-

რაცყოფას. რომ უფრო თვალ-საჩინოდ გამოითქვას
ჩენი აზრი, მოვიყვანოთ კაცობრიობაში სამი სხვა-
და-სხვა კულტურულის ეპოქის წარმომადგენელი.
როგორ აიტანს კოლქობის მუხანათობას ჩერქე-
ზი, საშუალო განათლების მექანი აზიელი და ფე-
როპიელი მალალი განათლებისა? ჩერქეზი ბევრს არ
იფიქრებს, როგორც ცხოველი, მაჰკლავს თავის
კოლსაც და მის გამბრყევებსაც; შუათანა განა-
თლების აზიელი იბრძვის, თავის გულს ასკდება. ასე-
თა საქმე მიაჩნია საკუთარის თავის დამკირებად და
„შენ-ჩემობის“ გრძნობით გამსჭვალული ზღვევას შეუდ-
გებავ; ათას ნაირი ტანჯვის მიყენებით ამკირებს თავის
მუხანათს კოლსა. იმასაც ამ შემთხვევაში პირუტყუ-
ლი გრძნობები ამოქმედდეს. განათლებული ერო-
პიელი კი უფრო ფილოსოფურად შეხედავს ამ საქ-
მეს. იგი ერთ წამსაც არ გადასკდება იმ აზრს, რომ
მისი კოლიც იმისთანავე უფლებით აღჭურვილი
აღმამიანია, როგორც თვითონ. იგი მიაჩნია იმ გვარე
თავისუფალის გრძნობის მოვარჯიშე პირად, რო-

გორკ თვითონ არის. მას სწყენს მხოლოდ ცოლის მიერ დედაკაცურის მოვალეობის დაეწევა, მისი ხასიათი, მისი სულის სიმდაბლე. ამის გამო იგი თუმცა შინაგანათ ძალიან აღუღებულა და მისი სულის მღვლეარებაც დილია, მაგრამ თვით განათლება და კაცის პიროვნება და მისი უფლება ისე წმინდა-წმინდათ მიაჩნია, რომ ვერაოდეს ვერ შეეხება ამ წმინდა-წმინდათა კაცის პიროვნულ უფლებებისს ვარგვანი შეურაცყოფის მიყენებით. ის მხოლოდ ცდილობს თავი განითავისუფლოს უნდა მეგობრისაგან; მაგრამ აქაც მას აყენებს კაცობრიული გრძობა. მათშორის განუწყვეტელის კავშირის მიზეზად ჰხდება მათი სიყვარულის ნაყოფი მათი შვილი. ის იხრის ქედს ამ შვილის წინაშე და უფრო განიერულს გზას შეუდგება—იგი შეუდგება ცხოვრების სამართლიანობას და რჩება ნამდვილ ქრისტიანად, რომელსაც მიტევებისა და თავიდანწირულების გრძობისათვის შეუწირავს თავისი ეგოიზმი, „შენ-ჩემობა.“ ამ სახით ჩერქეზი, როგორც ენაღური, განურკვეველი და გონების დაუმორჩილებელი გრძობის კაცი, მხოლოდ ხელმძღვანელობს ცხოველურ მოთხოვნილებითა; ერთ წამსაც არ შეჩერდება მოუსპოს სხვას სიცოცხლზე, თუ იგი გადაელობა წინ მის სურვილს. საშუალოდ განათლებული კაცი კი, თუმცა კაცობრივს გრძობას გულჩამხედარია, მაგრამ მისი გონიერება ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებულა, რომ სძლიოს ცხოველურს თვისებას, გამწეებულს შენ-ჩემობებს. ხოლო მაღალ განათლებულს ევროპელს ძალა და რბილში გამჯდარი აქვს გრძობა სამართლიანობისა და კაცობრივი უფლების ხელშეუხებლობა. აი, ასეთი ტიპის შინაგანი არსება უმაღლესის განათლებისა წარმოგვიდგინა ბრანდესმა თავის ღრამაში და, აი, ამაშია მისი ღირსება.

ჩვენმა მსახიობებმა ვერ დაგვიხატეს ეს ტიპი, როგორც ქალისა, ისე კაცისა, ალბათ იმისთვის

რომ თვით შინაარსი ღრამისა არ ჰქონდათ შეგნებული. ქალბ-ნი ავალიშვილი თუმცა ერთ ნაირს ტიპს ისეთი ქალისას, რომელიც ნაყოფია დღენდელის ციცილობაცისა კარგად ადგენდა, მაგრამ ბრანდესს ხომ ასეთი ტიპი არ ჰქონია მხედველობაში. დიდი ნაბიჯია უბრალო დარბაისელ ზენესუბუქს ქალსა და ბრანდესის მიერ დახატულს ზენე-მალას ქალს შუა, რომელსაც თუმცა უკუღმართი შემთხვევით მოსვლია ფების წაკერა ცხოვრებაში, მაგრამ ამას მაინც სრულებით არ შეურყევია მისი ზნობრივი მხარე. იგი ისევე ის მაღალი ზნის ქალი და რჩენილა, თავ-განწირული ცოლ-ქმრობისა და დედობრივი მოვალეობისათვის. ქალბ-ნმა ავალიშვილისამ პირველი გვიარის ტიპი დაგვიხატა და არა მეორისა. ამის გამო ვერც მოახდინა მასურებულზე შესაფერი შთაბეჭდილება. აგრეთვე როგორც სჩანდა, ბატონი გუნიაც არ დაკვირვებია თავის როლს ღრამდ. სულ-შერყვეულის მაღალი განათლების წარმომადგენლის კაცის მიგვირად მან წარმოგვიდგინა ქალაღუნა გრძობის კაცი, რომელსაც იმდენი ხასიათიც არა აქვს, რომ თავის საყვარელს ცოლს ან „ჰო, ან „არა“ უთხრას, ან სრული თავისი გულისსაპასუხი გამოუცხადოს. საზოგადოთ ბ-ნს გუნიას ღრამატული ძლიერი როლები უხასიათო, უმოძრაო და ძილის მომგერელი ერთგვიარვნებით გამოჰყავს. ბ-ნი სიმონიძე ნამდვილს უსუსლო და უფულო კერას, ანუ მანქანის ძეგლს წარმოადგენდა იგი ავტომატურად მიდი-მოდიოდა, ერთ კილოზე, ხმა-გამოუცვლელად ლაპარაკობდა და ერთხელვე დასწავლულ მიხერა-მოხერას იმეორებდა. არავითარი შეგნებული გრძობა მის თამაშში არ იყო.

კომედია „აირია მონასტერი“ ბევრად უკეთესად წარმოსდგა; ასე ვაშინჯე, მინარა ბ-ნი გუნიაც კი გაცოცხლდა და ჩინებულათ გამოხატა ტერნის-ძაფებ აბურღულთი, ფურფუტა, ლიტერატორი. ეას. აბა-შიძე, როგორც ყოველთვის, აქაც შეუდარებელი იყო.



* * *

მიყვარს მისი მე კისკისი,
რომელშიაც იხატება
უმანკო და წრფელის სულის
ყმაწვილური ალტაცება.

მაგრამ კიდევ უფრო მიყვარს,
როცა ეხედვებ დაღონებულს

და ცვითხულობ მის სახეზე
ფიქრს მის გულში დაგუბებულს,

რადგან მევერა რომ ის ფიქრი
ნაყოფია უქმარობის,
ტანჯულთა და ჩაგრულთაძმი
სიბრალოლულის თანა გრძობის

და მოვა დრო, როცა იგი
გაიზრდება ვაღიღებდა
და, გულში ვერ დატეული,
ნიაღვარებრ გადმოსცდება.

და არსებას, თითქოს მარტო,
სიამისთვის გაჩენილსა,
გაიტაცებს სამოქმედოდ
ნამდვილ გმირად გადაქმნილსა!...
ლუტე მეგრული

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ნ დ ო ბ ა .

(დასასრული*)

არსულს წერილში ჩვენ გამოვარკვეით, რომ ჩვენი ახალი სამეურნეო მრეწველობის ურთიერთობითი წესდება გადმოღებულია ხარკოვის მგორე სამრეწველო ნდობის წესდებისაგან. მაგრამ რაც იქ საზოგადოებისა და მრეწველობისათვის სასარგებლო მუხლები ყოფილა, ისე შეუტელიათ ჩვენს შემადგენლებს, რომ შეღავათის შავიერად უფრო მძიმე უღელი ნდობის დაუღვეთ ყოველის წვერისათვის. ესაღია, რომ შემდგენლებს მხედველობაში მავრე რიგათ არ ჰქონიათ სიკეთე და სესხას გაადვილება იმ სოფლის მიწათ-მომქმედთათვის, რომლის გულისთვის ეითომც კდილან ამ ახალი სამეურნეო საურთიერო ნდობის დაარსებას. თუ ეინიკობაა, ეს ტფილისის სამეურნეო მრეწველობის წესდება დამტკიცდა, ყოველი ჩარჩი, რომელსაც რუსულად აბერკეუპჩიკს⁴ ეძახიან, ადრე თუ გვიან ამ ბანკში მოიკლათებს. ის წაეა სოფლად, დაბიეებს ლენოს. სიმიღს, ბამბას, მატყლს და ყოველ გვარს ჰირანახლოს სოფლის მგოჯახისას, მოვა ბანკში და დაავირავებს, ბანკის ფულითვე გაისტუმრებს ჩალის ფასად დაბევებულს თვაღ-აზნაურისა და გლუბის ნაოფლარს და ის მოგება, რომელიც თვით ჰირანახლის პატრონს უნდა რკებოდა, ჩარჩის დარჩება ჯიბეში; მიწათ მომქმედი კი უწინდელათვე იქნება პირში ჩალა გამოვლემული.

ამ სახით, როგორც საადგილ-მამული ბანკი დღეს ყოველს დამვირავებელს მამულის მებატრონეს ცარილოზე დასმას ემოქრება, ისე ხეღ ახალი სამეურნეო სამრეწველო ურთიერთობითი ბანკიც მის წლიურს შემოსავალს დემეტრება და გადიტანს ჩარჩების ჯიბეში. მაგრამ რა ეუყოთ. ასეც რომ მოხდეს, ჩვენ მაინც, იმედია, იმითი ეინუტეშებთ თაეს, რომ ეისაც შეუძლია ასეთი ნდობის მოაზარება, ის მოიხმარს და კიდევ ისარგებლებს, ხოლო ეინც ლაზარია, იმას ხომ უმისოთაც შევი დღე აქეს დაბდგარი, ის მაინც ვერ შევიჩინეს თაის მონაგარს და დღეს თუ

ხეღ მისი ნაჰირანახულიეე მაინც ჩარჩის კრძია; მაგრამ საშავიეროდ ის რად ღირს, რომ ყოველ ბანკის მოგებაში წილი გეექნება და ამას გარდა შეიძლება მომალში ერთი კარგი ზორბა სახლიც შეიძინოს ურთიერთობის სამრეწველო ბანკმა. გვან ეს ქვეყნის სარგებლობა და გამდიდრება არ იქნება?... მერე კიდევ თუ მომეტებული ნაწილი წვერებისა მაინც ისეთები იქნენ, რომელნიც სოფლის მემამულის ჰირანახულის დაბევებითა და შესყიდვით გამოდიან, მაშინ ხომ კიდევ უფრო დიდი სღავათი მიეცემა ჩვენს სოფლის მეურნეობას.

ახლა შეუღვეთ წესდების იმ მუხლების გარჩევას, რომელნიც შეგებნიან საურთიერო ნდობის გამგებლების ინტერესებსა და სარგებლობას.

წესდების ძალით გამგებლობა შედგება: საზოგადო კრებისა, რჩევისა, გამგეობისა და მიმღებ კომიტეტისაგან.

მგორე ხარკოვის ნდობის წესდების ოცდამეცამეტე მუხლის ძალით რჩევა შედგება ექსის დეტუტატისაგან (ჩენს შემადგენლებს კი ხუთი უნებებიათ) და სამი გამგეობის წვერისაგან. დეტუტატებმა უნდა ადვენონ თვალ-ყური მიეღს წარმოებას ურთიერ ნდობისას. ისინი უნდა გახდენ მოპასუხეთ კანონისა და საზოგადოების წინაშე. თუ უკანონობა რაიმე მოახდინეს, დაისჯებნიან, მაგრამ ზარალში ისინიც იმდენადვე მოპასუხენი არიან, როგორც ყოველი წვერი საზოგადოებისა შესაფერად მისის სესხისა. ეს მუხლი ტფილისის სამეურნეო ურთიერ ნდობის წესდებაში გადმოწერილია შეუტელიოდ. მაგრამ რჩევის დაუდევრობის წყალობით რომ საზოგადოებამ ბევრი იზარალოს, ან სულ გაკოტრდეს და ბანკი გაუქმდეს, ნუ თუ რჩევის წვერნი ქონებრივად თითოეულ საზოგადოების წვერზე მეტი მოპასუხენი არ უნდა ეიონ?...
მგორე ხარკოვის ნდობის წესდების ოცდამეთოთხმეტე მუხლი ამბობს: დეტუტატნი და გამგეობის წვერნი აღირჩევიან **სამა წდაი**. ჩვენს ტფილისის წესდებაში ეს მუხლი შეუტელით სასარგებლოდ გამგეობის წვერებისა. ისინი უნდა აღირჩენ **ხუთა წდაი**. ალბათ შემდგენლებს უფიქრიათ: ჩვენ ხომ ეს წესდება შევადგინეთ, ამდევ

*) იხილვ კვალი მე-42 №-რი.

ნი ვილევწეთ; მართალია, იქნება საზოგადოებამ დააფასოს ჩვენი ღვაწლი და პირველად გამკვლევით ჩვენვე ავიტოვოს; მაგრამ ღირს მერმე სამის წლის გულისთვის ამდენი თავის ტება? ჩვენ რომ ჩვენი საზოგადოების უმადურობის აშბავი ვიტოთ, ვინ ენდობა იმათ დაუდგრომელს ხასიახს. შეიძლება სამ წელიწადს შემდეგ სულ ყველანი დავეცვალონ. არა, ძმაო, ამას ახლავ უშველოთ რამეო. ალბათ ამიტომაც სამის წლის მაგიერათ ხუთის წლის ვადა დაუდგენიათ. მერე თუ ვამოგვეცლიან, სანაწურად მაინც აღარ გვიქნება თანამდებობის დეკარავო. ამ შემთხვევაში შემაღვეწელების ზორსამკურერტელობა ყურადღების ღირსია, მით უმეტეს რომ ხუთის წლის სამსახურისათვის კანონის ძალით „დაბაეოჩნი“ ჯამაგირებიც ხომ განწესებულია ხოლმე.

ნდობის წესდებას, რომლიდანაც ჩვენს შემადგენელებს პირ-და-პირ ვაღმოსულიათ თავის სამეურნეო მრწველობის ურთიერთ ნდობის წესდება, მიხნათ აქეს ხელი ვაუპართოს ქალაქის მცხოვრებთა წერილმან მრწველობის წარმომადგენელთა და აღმ-მომცემთა. ამ გზას ვერც ჩვენი ტფილისის სამეურნეო ურთიერთ ნდობის ბანკი ასკოლდება, უკეთუ მისი წესდება შესწორებულად დამტკიცდა. მისგან ჩვენი მეოჯახენი დიდს შემწობას არ უნდა მოელოდნ. იგი იქნება იმავე ტიპის ბანკი, როგორც ტფილის ქალაქის საურთიერთო ნდობის ბანკი, მტვი არაფერო. მაგრამ რაც უნდა იყოს, უმინშენლო და უსარგებლო მაინც არ დარჩება საზოგადოებისათვის, რადგან შეიძლება მისი მეოხებით ერთი პროცენტით მაინც გაიფუჯეს ფულის სარგებელი და ესეც კარგია. ამასთანავე, რასაკერეველია, ბერი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მიმართულების იქნებიან თვით ბანკის გამკველნი; აგრეთვე რჩევისა და მიმღები კამიტეტის წვერებათ როგორ ცაცებს აღირჩევენ.

რაცა შეეხება ჩვენს მეურნეობას და მის გამჯობებს, ჩვენი სოფლის მეოჯახეთა და მიწათმომკველთა ხელის ვამართვას, იმათ შევლას, ეს მოლოდ სამელიორაციო კრედიტით შეიძლება, დაე იგი მეურნეობის გამაუმჯობესებელი ნდობის სარგებთაა. ამ საკანზე კვალის ნამკრებში საბუთიანად შემუშავებული და მოსაზრებული წერილები იყო დაბეკილი. ვისაც ჰსურს ცოტაოდენით მაინც გულის-ხმა ჰყოს ამ საქეს, ჩვენ ეურჩეთ მიმართოს „კვალში“ დაბეკილს სტატია: „კრედიტი და მისი მინშენლობა ჩვენი ხალხის ეკონომიური მღვამარეობის წარმატებისათვის“ გრ. გველესიანისა. ასეთის ნდობის დასაარსებლად საჭიროა ჩვენმა ტფილისის და ქუთათის საადგილ-მამულო ბანკმა მთაერობისგან ნდობითი მილონ, რომ იმათ უფლებას ჰქონდეთ სოფლის საზოგადოებებზე ვასცენ სესხათ ფული გამჯობესებულ სამეურნეო იარაღების მოსაპოებლად, ახალი სამეურნეო მრწველობის დასაარსებლად, ჩარჩების ხელიდან ეგნახებისა და ადგილ-მამულების შემოსავლის დასახსნელად.

უფრო ასეთი სამელიორაციო, ესე იგი გამაუმჯობესებელი ნდობის დაარსება ჩვენი მეურნეობის და სასოფლო მრწველობის ხელ-საყრელი, ვიდრე საურთიერთო ბანკები, რომელნიც მხოლოდ წერილს ეაქრობასა და აღმ-მომცემობას ვაუპართავენ ხელს და არა მეურნეობას.


გ. წერეთელი.

გ. წერეთელი.

მეორე ხარკოვის ნდობის წესდებას სამი წვერი გამგეობისა თანასწორი ხარისხით შეუქვია, ალბათ იმ განზრახვით, რაჭიმათ თანასწორი ჯამაგირებიც უნდა დანიშნოდეს; ხოლო თავსმჯდომარეობა სამის წლის განმავლობაში იმათ რეგირკობით უნდა ეტვირთათ, ყოველ წვერს გამგეობისას იითო წლით.*) ჩვენ ტფილისის სამეურნეო ნდობის წესდების შემადგენლის კი ეს თანასწორობა უთავიქონია და ეს მუხლი ასე შეუტყლია: საქმის წარმობა საზოგადოების მიენდობა გამგეობას, რომელიც შესდგება საზოგადოების მიერ ამორჩეულ თავმჯდომარესა და ორის წვერისაგან. მართლაც ჩვენში როგორ შეიძლება, რომ უნცროს-უფროსობა ჯამაგირებში მაინც მოისპოს! უკველია თავმჯდომარეს ნიშნად უფროსობისა მტვი ჯამაგირიც უნდა დაენიშნოს, თუნდა რომ სხვა გამგეობის წვერებზე ნაკლებსაც აკეთებდეს.

ამას შემდეგ მკითხველი ადგილად მიხედება, თუ ჩვენს საზოგადოების გულ-შემატკივრებს რა მიზანიც ჰქონიათ; როცა ასეთი ჩინებულს წესდებას ადგენდნ ჩვენის მეურნეობის და მიწათმომკვედების საკეთილ-დღეოთ. მე ევონებ, რიგი და წესი კი მოითხოვდა, რომ სამეურნეო მრწველობის ურთიერთ ნდობის შემდგენელი, სანამდის თავის ნახელაეს წარადგენდნ მთაერობის წინაშე დასამტკიცებლად, მცოდნე კაცებსაც დაკითხებოდნ და უფრო მოსაზრებობთ განებილათ, შეესწორებინათ ეს ესრედ წოდებული სამეურნეო მრწველობის ბანკის წესდება. ყოველ შემთხვევაში მეორე ხარკოვის სამარწველო

*) ჩვენი აზრით ხარკოვის წესდების შემადგენელს ეს ძალიან ბუიანად მოუხარებია, რადგან წვერნი გამგეობის ერთმანეთთან გაკონტრებით უფროსობაში უკეთ წაიყვანდნ საზოგადოების საქეს და ხარკიც მკორ იქნებოდა.



წ ა გ ი (წყრა)

წი, დაგლუპოს ღმერთმა, წყეულო, შეჩვენებულო, სისხლის მსმელო! ახა ერთი ჩამივარდი ხელში, ცოცხალი არ გადაგარჩინო, შეწყეულო შენა! — გავიგონე ერთ დილას გაჯაგრებული თომას ყვირილი, ამ ყვირილთან ერთათ შემომესმა მისი პატარა დისწული ნუკას ტირილი და აგრეთვე პატარა ლეკვის „გიშერას“ გამწარებული ყფა....

მაგრამ ჯერ საჭიროა გაცნობოთ, თუ ეინ იყო თომა, ანუ ძია თომა, როგორც მას ეძახდენ სოფლებში. ის — ტყის უარაულია და ტყეშივე ცხოვრებს წყლის პირას თავის ცოლიანა და პატარა დისწულიანა, რომელიც შეილათა ჰყავს აყვანილი. სხვა ამისთანა მეთევზე და მონადირე უეჭველია არ გენახებათ. მის ქობს რომ შეხედო, მაშინვე მიხედები, თურა მოხელე კაცია თომა: მის გარეშეშო, მინდორი ლობეები* და სახურაეი სულ მოფენილია ბადეებით და ანკესებით; ეზო გაყვებულა ბატებით, ინდურებით,

ქათმებით, მტრედებით, იხებიტ და სხვ. ოათხში კი სულ სხვა-და-სხვა ნაირი გალიეები ჰქონდა და ყოველ გვარი ფრინველები სასიამოვნოდ გალობდნ. კედელზე ჰქონდა ხელმწიფის სახე, და ცოტა ქვეით უზარ-მაზარი თოფი, რომელსაც პატრონი „კაბაზინ“ ს უძახის. „ახლა ძნელია ამისთანა თოფის შოვნა“. — თავ მოწონებით ამბობს ხოლმე თომა.. ამასთანავე უნდა დაუმატოთ, რომ თომა ძალიან კეთილი და სტუმრის მოყვარე კაცია; მისი ცოლი კი შეწინააღმდეგებდა ყოველ ნაირ საკმელებს.. ამის გამო საკვირველი არ არის, რომ მათი ძალიან ხშირი სტუმარი ვარ.

იმ დღეს, როდესაც თომა ასე გაჯავრებული იწყებოდა, მე და ის სანადიროთ უნდა წავესულიყავით. უცებ მისი ხმა გავიგონე, „ნეტავ რა მომხდარა!“ გავიფიქრე. ეს კეთილი კაცი ასე რათ იწყებდა-მეთქი.

— გამარჯობა, თომა, მხიარულათ დავუყვირე შორიდან, რა მოგივიდა-მეთქი.

თომამ ჩემსკენ მოიხედა, ეტყობოდა ძალიან აღელვებული იყო.

როგორ თუ რა მომივიდა, დალოცვილო, ჩემი მოწონებული მეფე ბატი გამოგულა წამბა.

მაშინვე მიხედი, რაც მომხდარიყო. ის დედაბატი თომას ყველა ბატებს ერჩია. იქვე ეზოში ის უბედური ყელ-გამოჭრილი გვლა.

აი, წიღან გადუნა ყველა ბატები ნუცამ წყალზე და ის წყეული პირ-და-პირ ამ დედა ბატს-ეტაკა, თითქოს სხვა ბატები არც კი დაუნახეს, უკეთესი იქნებოდა იმ შეჩვენებულს ჩემთვის გამოგვრა ყელი!

მე ყურადღებით დავათვალიერე ბატი; ჭრილობაზედ ეტყობოდა, რომ წაეს დიდი და მძლავრი კბილები ჰქონია, არც კეთა უნდა ჰკლებოდა, თუ იმისთანა კვიანს ბატს მიგზარა, როგორც ეს დედაბატი იყო.

დიდ ხანს წუწუნებდა საბარლო თომა: „ღმერთმა ერთ წელიწადსაც ნუ მაცოცხლოს, თუ ამ ზამთარში ჩემ ცოლს იმ შეჩვენებული წაის ტყავი საყელოდ არ ვაუტქმ!“ გადაწყვიტა მან.

მას აქეთ ჩემი მეგობარი უთოფოთ ფებს არსად გადადგამდა. ერთ შეწინააღმდეგებელს მე და თომა წავედით სათევზაოთ. ცოტა ქვეით ნუცა ბატებს მწყესავდა. უკერათ გოშერა, რომელიც ფეხებში გვეტლანდებოდა, გაჰქანდა ნუცასკენ და ხმა მაღლა ყეფა დაიწყო. მალე ნუცას ყვირილიც მოგვესმა...

უთუოდ წაია! — თქვა თომამ და სწრაფად გაექანა იქითკენ; მეც უკან გავედევნი.

მივედი თუ არა, აი რა დაეინახე: შუა წყალში დიდი ბატი ძალზედ ფართობდებდა და სისინებდა; მის ყელში კი მავრათ ჩაერჭო კბილები ერთ ნაირ ცხოველს, რომელსაც წყლიდან მხოლოდ რგვალი თავი უჩანდა. ერთ წამში გავარდა თოფი და ბატი წყალში ჩაეარდა. წაის მავირად ტყეია ბატს მოხედა...

გამწარებული თომა საშინლად იღანძვებოდა, მაგრამ მალე ისევე გატენა თოფი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამიყვინა: „არიქა, ბატონო, არ დამლუპო, არ გაუშე, აქეთ დაბარუნე მე წყეული“. შენსკენ მიოკურავს“. მართლაც შეხედე, რომ წაი მე მიანლოვებოდა. მაშინვე ეტაკე ხელი ნაპირზე და გდევნულ ჯირკს და ვესროლე წაეს.. ის მაშინვე გაბრუნდა და თომასკენ გავშურა... ხელახლა გავარდა თოფი და პირუტყვი ჩაყურყუმალავდა... წყალი წითლად შეიღება..

მოკალიძი მოუღე ბოლო მაგ ჩემ დამლუპავებს! ყვიროდა თომა და სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

„თუ მოკალი, აბა რა იქნა?“ გაკვირებული კეთიხე მე, რადვანაც ვერ ვხედავდი მოკალულ წაეს. — დაძირა, დაძირა შენი ჭირიმე! ტყეისათვის წაივდა ძირს! არიქა, გოშერა, მიშველე, ამოიყვანე ის ოხერი!...

გიშერას ეტყობოდა, სრულებითაც არ ესია მოენებოდა წყალში ჩახელა.


აი, ვაგისკდა მიწა! წაიბუტბუტა თომამ, გაიხადა ტანისამოსი და ჩახტა წყალში; ცოტა ხანს შემდგეს ამოყურყუმალავდა და თანაც კულით წაეს მოათრევდა.

— ერთი უყურე! — ამბობდა ის; „რა უზარმაზარია!“

მართლაც რომ პირუტყვი დიდი იყო. სიგძით ორი არშინი იქნებოდა, 30 გირვანქაზე ნაკლებს არ აიწონდა მთელი ტანი შეწინააღმდეგებელი ბრწყინვალე ბეწვით ჰქონდა შემოსილი. მას ფეხებზე საცურავები ჰქონდა, მისი კული კი გველი და ბუყელი იყო.

„წარმოიდგინე ბატონო,“ მეტუნებოდა თომა, ეს მეთავ წაიე მომიკლავს ჩემ სიცოცხლეში და აშხელა კი ერთიც არ შეხებდებოდა! შეხედე ამ ურჯულს, როგორ უბუნია კბილები! რა შეწინააღმდეგებელი საყელო გამოუტა ჩემ ცოლს!

თომას ცოლს მანაც არ ეღირსა საყელო, რადგანაც წაის ბეწვი თომამ ქალაქში წაიღო და იქ 10 მანეთათ გაყიდა.



მ ლ ე ტ ჩ ი ა რ ი

(მყინვარი, გაყინული თოვლ-ზევი)

მტრად ღვეს თოვლი მაღალ ქედებზედ. საითაც უნდა გაიხედო, ყოველგან მხოლოდ თეთრი ქულა ღრმად ჩაძინებული მთები მოჩანს. გვეგონება, რაღაც ჯაღო-ქარს მიუძინებიაო. ბრწყინვალე მზე ამაოდ ცდილობს გააღვიძოს, გა-

თბოს ისინი, ის ვერაფერს ახერხებს და მხოლოდ ლამაზათ ათას ფრად აბრჭყვიანებს თეთრ ყინულს...

შესაზარს სურათს წარმოადგენს ეს ყინულის სამეფო, მაგრამ ის არც სილამაზეს არის მოკლებული; თავის სიშენიერებით იზიდავს იგი თავისკენ არა თუ მარტო ბუნების მეცნიერს, რომელიც ცდილობს ამ უძრავ ქედებში ამოიკითხოს ბუნების წარსული, არამედ უბრალო მოგზაურსაც; ამ უკანასკნე-

ლისთვის სანატრელია იმ დიდებულ ადგილს ასეღა, რომ იქიღვან დასტკებს ბუნების სიდადით და სილაზაით.

ჩვენც გამოვემშვიდობოთ მშვენე მდელის და ავეყეთ ზევით: ვამბედავს მოგზაურს.

რაც უფრო მაღლა მივდივართ, უფრო და უფრო ცივა, თუმცა მზე აქაც უხვათ გზაენის თავის სხივებს. თუ მოგზაურმა ან პირბადე, ან ბაშლიყი და მუქი სათვალე თან არ წაიღო, ძალიან გაჭირვებაში მივარდება: მზის სხივები ისე საშინლად ბრწყინავს თოვლებზე, რომ უსათუთო დაბრმავებს უბედურს, პირისკანი კი დამწვარივით აფეთქდება. ყინვით მოკლულს ქედებზე ხშირად ვეხედებო შევნიერს მცენარეებს.

კიდევ უფრო მაღლა თუ ავედით, იქ მხოლოდ თოვლით და ყინულით მოფენილს ადგილს ნახავთ. ეს თოვლი არც ზაფხულში დნება, რადგანაც თოვლის ზოლს *) არის აცილებული.

პირველ შეხედვაზე გგონება, ეს თოვლი სულ უძრავად დევსო, მაგრამ ეს რომ ასე იყოს, თოვლი ხომ უმწვერვალეს სიმაღლეების მიადრწევდა; მართლაც და რომ დასკვირდეთ, შენიშნავთ, რომ ყინული მუდმივ მოძრაობაშია; თავის სიმაღლის გამო ის უსათუთო თანდათან ძირს უნდა ჩამოდიოდეს; ის ხან უეცრად წამოვა ძირს (ზევით), თუ არა და ნელ-ნელა მოკლავს.

დღმა გერმანიის პოეტმა, გეტემ გარეგანი შეხედულებით გლეტჩერი (მყინვარი) — წყაროს მიაშავეს; მართლაც და ის ადამიანს წყაროს მოაგონებს: წერილად არის ჩამოწოლილი კლდას ქალბში და პირველ შეხედვაზე გგონება მომდინარეობსო. ხანდახან ორი გლეტჩერი (მყინვარი) ჯერ ცალ ცალკე არიან და მერე შეერთდებიან, რასაკვირველია, მაშინ კიდევ უფრო სოცხლად მოგაგონებენ მდინარეს.

გლეტჩერზე ყოველთვის კლდის ნაშხლეციები ყრია. ზოგი მათვანი. ვარემემო არის შემოწოპილი, ზოგი შუაშია გაყოლებული და ზოგიც ქვედა ნაპირის აელია. ამ ქვებს — მორენებს ქვიან.

თითონ გლეტჩერის ზედაპირი სხვადასხვა ნაირი არის: ზოგჯერ ის სწორი და სპეტაკია, ზოგჯერ კი ისე უსწორ-მასწორია, რომ გგონება აღელვებული მდინარე გაყინულია.

ხანდახან გლეტჩერი მთელ სიგმეზედ გახეთქილია. თუ მოგზაურს არ ეშინია თავებრუ დახვევის,

*) თოვლის ზოლი ჰქვია იმ ხაზს მაღალ ქედზე, რომლის ზემოთ ხამთარ-ზაფხულ თოვლი არ აიღება.

ჩაიხედოს შიგ, გასოცარს და შევნიერს სურათს დაინახავს: უსტკრულის კედლები წმინდა ლაქევარდი ცის ფერა და ზედ შევნიარი ყინვის ხიღები არის გადებული, მაგრამ ეს ხიღები არა თუ კაციხთვის, გიხებებისთვისაც საფრთხილოა: შედგამს თუ არა ფეხს, მაშინვე ჩაქვდება. ხშირად მოხდება, რომ გლეტჩერის ნაპარლებში დიდებულს ყინულის სახილებებს დაინახავთ; მაგრამ, ვი, მისი ბრალი, ვინც ამ სურათის შეხედვაზე სიფრთხილეს დაივიწყებს; ერთხელ ორმა მოგზაურმა ამისთანა ნაპარლში თოფი გაისროლეს; მაშინვე ყინული ჩამოინგრა და ორივე ქვევ დაიტანა. განსაკუთრებით შევნიერია ყინულის სადგეო, როცა მზე მას თავს ნაირად აბრჭყუილებს...

ჩვენ შევადარეთ გლეტჩერი (მყინვარი) მდინარეს მხოლოდ ვარეგანი შეხედულებით; ახლა საჭიროა ვთქვათ, რომ ის მდინარესავითაც ერთ ადგილს არა დვას და სულ წინ იწევა, — მაღლიდან ჩამოდის. 1827 წელს ერთმა ბუნების მცენარემა გუვიმ აიშენა სახლი უნტელარის გლეტჩერზე შევიცარიაში და ყოველ წლიე თვალს ადევნებდა მყინვარის მოძრაობას. ამ ნაირად იმან შენიშნა, რომ 14 მლდინაში გლეტჩერი ჩაიკლდა უწინდელ ადგილს თორმეტი ვერსის სიშორებზე! ესე იგი წელიწადში თითქმის თითო ვერსი ჩაღიოდა ძირს.

ავასისი, ტინდალი და ფორბესი ამასეე ამტკიცებენ. ამას გარდა იმათ გამოიკელიეს, რომ აღბის უდიდესი გლეტჩერი (მყინვარი) ყოველ დღე 20 ვერ-შოკედ ჩამოდის ძირს. თუმცა გლეტჩერი ასე ნელა მოდის, მისი ძალა შეუკავებელია. ის ამტკიცებს უზარმაზარ კლდეებს, თან მიუქს დიდი ლოდები და შალაშინივით ასწორებს კლდის ფერდებს და ძირებს.

ბეგერი ნასწავლი ცდილობდა და ახლაც ცდილობს ამასნას, რა მიზეზია, რომ მყინვარი მუდამ ძირს მოკურავს.

შლენხსერი და შარპანტიე აპარლებენ ამას გლეტჩერში წყლის გაყინვას; გაყინვის დროს წყალი განვირდება და აწეება გლეტჩერს. მაგრამ ავასისმა დაამტკიცა, რომ გლეტჩერში ყოველთვის 0/6 სითბოა და ეს წყლის გასაყინათ სრულებითაც არ არის საკმარისი. მეორე მცენიერი ფორბესი გვარწმუნებს, რომ გლეტჩერი მოძრაობს, რადგანაც ყინვი თაფლივით იწებება; ყველაზედ უფრო ნამდვილი აზრი კი ეკუთვნის ტინდალს, რომელიც ამტკიცებს რომ ყინვის ზემოთი ნაწილი ქვემო ნაწილს აწეება და ამის გამო გლეტჩერი ძირს მოკურავსო.


რაც უნდა იყოს, მაინც გლეტჩერი წარმოადგენს დიდებულს გაყინულს, თოვლის-ზევის რომელიც მშვი-

დათ ზღაპრით ჩამოდის ქვეით. ის სასარგებლოა იმი-
თი, რომ ამხმერეეს კლდეებს, ქვეებს და ანოყურებს დე-
და მიწას. ამის გამოთაჲ არის ისე ნოყიერი ჩენნი
ქალეები.

კიდეე უფრო სასარგებლოა გლეტჩერი მეორე
მხრიო: ის ხდება მრავალი შესანწიავის მდინარეე-
ბის სათავეთ, სხვათა შორის რინი, პო, ცრი, რომა
და სხვა ევროპაში; ხოლო ენგური, რიონი, ცხენის წყა-
ლი იმერეთში სულ მყინვარებში გამოდიან.

როცა მოგზაური შესცქერის თვალ-უწყედნელ
თეთრ ყინულს, გაიხსენოს რინის ან რიონის ნაპი-
რები, შევიარის ან რაქის შეწიერი სურათები,
მაშინ ის გაიგებს, თუ როგორი ძალა და შეძლება
აქვს თეთრ უზარ-მაზარ გლეტჩერს, ანუ გაყინულს
თოვლ-ზევებს.

ე—ლი



პ რ ი ტ ი მ ა

„მოაქვეყნა მშობისა და ურთიერთობისა!“

(თხზულება ი. დავითა შვილისა, 1890 წ.)

I

შვეტი, თითქმის შესრულდა ექვსი წელიწადი,
რაც მწარე სიღარიბით წელში გაწყვეტილი,
საკლადად გარდაიქცა ხარატი (ჩუქურ-
თმის მკრელი), საწყალი გლეხ-კაცი, მოღვესე იოსებ
დავითაშვილი, რომლის ნაწერები ამ სამის წლის
წინად ცალკე წიგნად გამოიცა ტფილისში. როგორც
მასხავეს ეს წიგნი იყო პირველი საქვე 1890 წელს
დაარსებულის წიგნების მშვედველ ქართველთა აზა-
ნაგობისა, რომელმაც საქაოდ ერცელის ბიოგრა-
ფიითა და მწერლის სურათით დაბეჭდა ი. დავითა-
შვილის ლექსები და, ამით რა თქმა უნდა, კარგი
სამსახური გაუწია საზოგადოებასა და კრიტიკას, რომ
სამართლიანად, ჯეროვანად დაფეხმდინა ავტორი.

აქვე მოგახსენებთ, რომ ქართულს ახალს პოე-
ზიას, ჩვენსა საზენიეროდ, მუდამ ამღელვარებდა,
ასულდგმულებდა, აცხოველებდა ყოვლად პატიოსა-
ნი წმინდა საერო აზრები და გრძობანი, რომელ-
თაც მტკიცე კეშირი ჰქონდათ ცხოვრებასთან და გა-
სწავებულის ხასითითა, შინაარსით და ელფერით
აღბეჭდეს ჩენნი გონებისა და ზნეობის დღიანდელი
ეთარების საქმე.

ერის ხანგრძლივს ცხოვრებაში ზნობია ხოლმე
ისეთი ისტორიული გარემოება, როდესაც ერისავე
სულსა და გულს, სხვა-და-სხვა მრავალ-გვარ აზრებ-
სა, გრძობათა და ოცნებათა მისწრაფებას შატკეც
შხლოდა ერთად ერთი პოეზია, საკუთრივ ლირიკა-
ამიტომაც, ლირიკას დიდი თვალსაჩინოა ღრმა მნი-
შენელობა და ძალა ჰქონდა ყოველთვის და აქვს
ახლაც, იმის-დამიხედვით, — თუ როგორია ვითარება,

პ რ ი მ უ რ ი ბ ა მ ო ს ა ნ ა



მასა ვთხოვე მაცხოვარო
შენი მოსიყვარული!

ორივე თვალთ ცრემლიანმა

რაც შეგებოვო, ამისრული.

დედის ძუძუ შხამთ არგე

იმას, ვინცა ძმებს აშორებს,

ან კიდე ვინც დავიჯერებს,

სულელულსა ვისებ ჭორებს.

ვ. დვანიშვილი.

ანუ საზოგადო ყოფა ერის ცხოვრებისა. ლირიკა
ზნობად, ძალიან ზნობად, სარკესავეთ გამომ-
ხატეულია, დამახებელია ერის გულის ჩივი-
ლისა, მღვრვისა, საშინელის ტანჯვა წუხილისა;
ან ბედნიერის, მხიარულების, სიკაცხლის დამა-
ტკბობელის დრო-ჟამის სადღესასწაული და სა-
სიამოვნო აშვების აღმომთქველი. განსაკუთრებით
ქართველთათვის, ჩვენს ბედში მყოფ ერისათვის, ლი-
რიკა შეიქმნა თითქმის ერთად ერთი უტყუარი, ქე-
შმაბრტე გამომხატველი ჩენნი სულისა და „კულის
ნადებათა“, ჩენნი აზრებისა და გრძობათა წმინდა
სარკე. საქართველოს უზირატეს შეიღებს დიდი ხა-
ნია, რაც ლირიკის საფარველ ქვეშე შეუფარებით
თავი თვისი, აქ გაღვწილით დაჭირლის, გამწარებუ-
ლის გულის დარღები და აღმეტყველებით ენა, მო-
მეტებულ ნაწილად, უსაზღვრო და ღრმა მწუხარების
აღმოსთქველად. მაშასადამე, ლირიკა ქართველთა-
თვის ის წმინდა და მდიდარი საღაროც გამხდარა,
სადაც სულ ერთიანად, პირ-ნათლად, შეუშვიკლე-
ლად დატულა და შენახულა ერის ძვირფასი სამკაუ-
ლი, ქვეყნის უკეთეს შეილთა ღრმად ნახარი და ნა-
გრძობი, სული და გული...

მაგრამ, ვაი... რომ ლირიკა სიხარულისა და
ღებვისა არ იცის ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ. წუ-
თის-თვლის ბრუნვამ დიდი ხანია, ხელი აიღო ბე-
რი ვაჭრისა და ქირ-ბორატების მწახველს ქართვე-
ლობაზე, ცხოვრებამაც დამტუქსველი და ანჩლი
დღინაცვლის საშახური გაუწია ჩვენს საზოგადოე-
ბას, ინტელიგენციასა და საქართველოს. სასიქადუ-
ლო მოვსანთა მაგრძობიარე, მღელვარე გული მწა-
რედ აკვეთს და... შეწუხებული „ობოლი სულის
ოხებრა“ შექმნა უსაზღვრო, მძიმე და აუტანელი,
ეგ სახელოვანი „ობოლი სული“, რომელიც ნაღ-
ლიანად „ჩონატურს“ ჩაკითხავს: „ნეტავი, ოდეს ხმა
მხიარული შენგან მსმენოდესო“ და „ქართლის ბე-

დზე, რომელსაც შოაკლდა თავისუფლება, წვეთ-წვეთად აფრქვევს მღვღარე ცრემლებს, საშინლად, ზღვის ზვირთსავით შფოთავდა და „პატარა კახს“ სოფლისა და სოლომონის პირით გაბოროტებული, ცეცხლ-მოკიდებული გვათავებოდა, რომ მან ასე მოულოდნელად „გადასწყვიტა ბედი ქართლისა“, საოცარის, თაე-განწირულ-ს სულს კვეთებით“ და აღელვებულთა „გულის კენცით“ უარ-ჰყუფს, „შორდება მამულს“, თავის „წინა-პართ საფლავებსა“ და მიწა წყალს...

მეორე, ამ ნაირადვე და ამ მიზეზითვე გაბოროტებული, საოცარი მგოსანიც, აი, რა ბასრი და სპარტოვებლსავით მჭრელს სიტყვებს აფრქვევს გულის საკირიდან:

„სრემში ნალესი ნადველი—
მინდა რომ მელნად ეიხმარო,
საწერლად მიესცე გლახ-გული
ფრთა კალმად აღარ ეიქმარო!

მის ნაცვლად ენა ჩაუწო,
საწვერ-მახვილო ის არი!...
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!

თაე-განწირულად პირ და პირ
შევეჭიდები ქვეყანას!...
რას მომცემს, ან რას წაშართმევს,
გული რომ დამწყდეს მისთანას?...“

რა გარემოება იყო ისეთი მიმე და აუტანელი, რომ ასე საშინლად, ძლიერად და ღრმად გამწარდენ ეს რჩეულნი? ადელი საკითხავია, განა?!...

სიხარულისა, სიტკბოებისა და უდარდელი ლხენის მგოსნის, აღ. პაეკუაძის, საფლავს გულის ჩამწყვეტის ცრემლებით დასტირის გამწარებული პოეტის:

„შენ არ დაწვივა ჩვენსავით გულიო...
თორემ სხვა გეარად,
მწარედ და მარად...
გესლით და ნაღვლით იწყებდი ძვირას!...“

და ესენიც ურიახტანის დიდებულ წინასწარმეტყველსავით მუღამ ჰგოდებენ:

„სანამ ჩემი საყვარელი
ქაჯებსა ჰყავთ ცხრა-კალიტულში,
ვინ მაღირსებს სასუფველს,
ჯოჯობეთი მიძევს გულში!...“

და ამ „სრულიად ურწმუნოს გრძობითა და გონებითა“ ის უნდა

„რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
იღებავდეს ქალარასა!...“

თუმცა სულის ისეთის მღვლეარებითა და შფოთვით კი არა, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი, მაგრამ ამავე გრძობას ჰხატავს მესამე პოეტიც:

„დაჭინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გრავდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ გივი, — მიხარია, რომ ეკრედ შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“ ...

მწარე, ლოდავით მიმე, აუტანელი გრძობა იპყრობს პატრონის ბუნების ადამიანს, როდესაც ესმის ასეთი ღრმა და ძლიერი ოხვრა, აღშფოთებული სულის უძირო წუხილი, გოდება... ხელოვნურად დიდის ნიჭიერებით ჩამოსხმულს ლექსთა საოცარს ხმებს გაღვლიერებული არსება მაშინვე ემორჩილება, სულის სიღრმეში ჩააქვს იგინი და სრულიად იკეთება, იმტომ რომ იქ იხატება და სულდგმულობს სამშობლოსადმი უღრმესი, თაე-გადადებული სიყვარული, ადამიანის გამაკაცხლებელი, მაღალი გრძნობა და ანკარა წყაროს წყალსავით სპეტაკი აზრი, რომელიც საკვირველის მღვლეარებითა, შფოთვით და ოხვრით გულის საიდუმლო ფსკერიდან ამოაქვს საყვარელს მგოსნებს... დიად, დიდად შესანიშნავია, საყურადღებო და დასაფიქრებელიც ასეთი ხასიათი ჩვენის ახალის ლირიკისა და ეს სავანი ღირსია იმისი, რომ იმაზე როდისმე ერცლად ვისაუბროთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო...

ჩვენ აღნიშნეთ აქ მარტო სავანი და ხასიათი ჩვენი ახალი ლირიკისა, ხოლო გარეგანი ფორმაც, ტენიციური მხარე ლექსებისა და ენაც დიდად განსხვავებულია იმ პოეტების ნაწარმოებთაგან შედარებით, რომელთა სავანი, მომეტებულ ნაწილად, იყო სიხარული, ქალის ტრფობა და სიყვარული, უდარდელი ლხენა და „სიამენი სოფლისანი!“ ახალი ლირიკის წარამოდგენელთა შორის, ორი სრულიად დამოუკიდებელი და ორიგინალური მგოსანია ამ მხრით დიდად შესანიშნავი. ერთია ნიკოლოზ ბარათაშვილი და მეორე—აკაკი წერეთელი. გარეგან ფორმით მოკლედ ჩამოსხმული ამ მგოსანთა ლექსნი იმდენად შევნიერი, საუცხოო, მუსიკით აღსავსეა, მდიდარი ფანტაზიის სურათთა უზარალოდ, მარტივად გამოკვერით იმდენად ძლიერია და ენერგიული, რომ გულს პატრონის კაცისას ღრმად აატყავებს და სრულიად მოინადირებს, დაიმორჩილებს... განსაკუთრებით აკაკის, მარტო პოეტისა კი არა, თვით განზორციელებულის პოეზიის—აკაკის შევნიერი და ტურფა „ჩონგურის“ აღმოთქმანი საოცრად მოჭილი, მკეთილი, მასთან „ნაზი, ნარჩარია“ და მით უფრო ძლიერია. პოეტის „ჩონგურის“ ენა მშობელი ერის გულის დიდი მესაიდუმლო და საკვირველის ხმებით ჰხატავს

იზის წმინდასა და სპეტაკს გრძნობათა, სურვილთა, ოცნებათა, სიხარულთა.. სიხარულთა, რომელნიც ხშირად, ძლიერ ხშირად, ფერსა და კილოს იცვლიან და გარდაიქმნებიან გამწარებულის გულს სიღრმიდან საშინლად ამოსკვდარ უკმარობის, უმადურობის კვილად... ენესად... ნაღვლიან წუხილად, სევდად და ეს სევდაც ბოლოვდება რაღაც მწარე, მაგრამ მანუკუნებელ დ...ადღად და პოეტს მაშინ...

„ი ი მიილი ხელთ უტყარია მტრისთვის ხმად და მოყვრის ფარად?...“

აკაკის ლირიკის საოცარს ფორმას, ტენიკურს მხარეს განციფრებაში მოჰყავს თვით პოეტის მტრებიც, რომელთაც განუსაზღვრეელის ზიზღითა და სამართებელსავეთ მჭერლის ირონიით უღადრავს ვულგურს და უშმახავს სიცოცხლეს ძლიერ-მოსილი მკოსანი. პოეტმა სრულიად შეითვისა სახალხო ენის საუბრის საიდუმლო ხმა და კილო და ქართულს ლიტერატურაში ამ მხრით მოახდინა მთელი რევოლიუცია. მაღალი ტალანტის მექონი აკაკის დღარავა მიუხედავად თითქმის გენიალურად სახედავს და ქართულთა ხალხსა და საზოგადოების სკლის მოძრაობა, ცხოვრება, ჰოკ'იად დაიბეჭდა მისს ნაწარმოებშია და მისმა ჰოვრავ თავისა გულ-წრფელი და ჭკამარცვა გამამხატველა...

ამ გვარად, ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო და შეითვისა სიტურფე და შეენიერება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გატარებულ იქნა იგი, — რუსულად ვიტყვი, — *СКОВОЗЬ ПЛАМЯ ПОЭТОВЪ*. ამიტომ, მე გგონია, რომ ქართული ენის შესახებაც იგივე უნდა ითქვას, რასაც ამჟამს ზოლა ფრანგულსაზე: საქირო იყო თაობა ლირიკულ პოეტებისა, რომ ენა გამხდარიყო ფართე, მოქნილი და ბრწყინვალე იარაღი... და მართლაც, აკაკის შემდეგი, მთელი ჩვენი აწინდელი პოეტები: ქალაღდელი, უწყინფარიძე, დუტუ მეგრელი, ცახელი და სხვ.*) და მოლექსე ი. დავითაშვილიც ამ მხრით აკაკის სკოლას გუთუთიან და ზოგი იმათვანი, როგორც მაგალითად, დავითაშვილი, პირ-და-პირ აღიარებენ აკაკის თვის „საყვარელ მოძღვრად და ოსტატად“.

აი, ამ სახელოვან გგოსანთა ლირიკამ შთაბერა უკვდავი, ძლიერი და მაღალი სული აღორძინების ჩვენს ლიტერატურას; ვაუფართოვა, ვაუგანერა მას ასპარეზი და საზღვარი მრავალ გვარს სავრო, სასარგებლო და პატიოსანი ახრთა და გრძნობათა შთაგონებით და, ბოლოს, მიანიჭა კიდევ იმდენი **ხვნობრავა** და, მანასადამე, **საზოგადოებრავა** ძაღად და მნიშვნელობაც, რომ თვითოველს პატიოსანს ქარ-

თველს შეურცხვენელად შეუძლია იმედითა და სასიებით უფუროს თავის მშობელი ერის გრძნობაგონების ვითარების საქმეს, ხალისი და მხნეობა მოიმატოს, სული მოიბრუნოს და წრფელის გულითა და სინდისით შეუღდეს თავის ქვეყნის წმინდა, უნგარო სამსახურს...

მაგრამ მოგვხსენებთ, რომ ქვეყნის სამსახურისა და რაიმე სამეცნიერო კეთილის განხორციელებისათვის მარტო ხალისი და მხნეობა ზრა კმარა. ამისათვის რომ მართლა ცალიერი ხალისი და მხნეობა იყოს საკმარისი, მაშინ ხომ ჩვენებური ტრედიაკოსკებიც, რომელთა სახელი ლეგონია, პირ-და-პირ საზოგადო მოღვწეთა და უკვდავთა შორის ამოყოფენ თავს!.. მე თქვენ გეტყვით, ხალისი არა აქვთ თუ? მაგრამ, მაღალდა ღმერთს, ბედნიერს პარემოებას, დიდი ხანია დაუწყავს დაღუფარავს საზოგადო მოღვწეობის ასპარეზი ურცხვე მუღბნელთა შემოსევისაგან და მისი მაღლი უკვდავებისა მიუნიჭებია მხოლოდ რჩეულთათვის, სპეტაკი გრძნობაგონებისა, წმინდა და მაღალი ზნეობისა და მოაზრე დამინათვის. დიდა, ქვეყნის სამსახურისათვის, წინაპირველად აუცილებლად საქიროა ბუნებით, თანდაყოლილი ნიჭი—ძლიერი ძალა და უმაღლესი მაღლი, რომელსაც ბუნება ხელ-მოჭერით იძლევა. მაგრამ... მარტო ბუნებრივს იქნაც, ხალისთან ერთად, არ შეუძლია რაიმე თვალ-საჩინო, მკვიდრი ნაყოფი შესძენას საზოგადოებას და დაიმსახუროს საქვეყნო ყურადღება. მარტო ბუნებრივი ნიჭი ვერ გახდის კაცს შესანიშნავ და სასარგებლო მოღვწედ, ვერ აიყვანს მას მაღალსა და პატიოსანს, უწყინდესი მოქმედების ხარისხამდე. უკეთილ-შობილესისა და სპეტაკი საერო მოქმედებისათვის ამ ქვეყნად საქიროს უმეტესად „ღვთიური ნაბერწყალი“, ესე იგი, ბუნებრივი, თან დაყოლილი მაღალი თვისებანი სულისა, მისთან გონებრივი და ზნეობრივი უპირატესობა ადამიანის არსებისა...

საყურადღებოა ი. დავითაშვილის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდის დროს, წარმოთქმული სამგლოვიარო სიტყვა აკაკისა, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: „შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ ნარტო მოღვქმეობისათვის ესცემდეთ მას პატიეს. დაბალ წოდებაში ნიჭი იშვიათი არ არის და არც მოშინირობა განსაკუთრებით მოვლინება. განსვენებული იმითი იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არა ჰუიქრობდა, რამოდენადაც საზოგადოებაზე. მისი გრძნობაგონება იმაზე ჰქონდა მიპყრობლი, რომ მოძმეების კეთილ-დღეობას მოსწრებოდა, მათი სწორ-წარმეტება ენახა... ღლევან გელი საქმეც კარგი და სამავალითო მოვლი-

*) უკანასკნელი მოდგმის ახალგაზდათა შორის, ჩემის ახრით, გ. გვახავს ნიჭი ღირსია ყურადღებისა.

ნება. ღარიბს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ჩვენში სრულიად საჭირო არ ყოფილა მრუდე გზით შექმნა. საქაო არის მხოლოდ იყოს პატიოსანი, შრომის მოყვარე, საზოგადო კეთილთანამგრძობი და თანამოზიარე, და ის შეუნიშნავი და დაუფასებელი არ დარჩება... გამოიწვევს, რიგიანის წრის სიყვარულსა და პატივისცემას... დიად, მართალს ამბობს აკაკი: საქართველოს სხვა-და-სხვა წოდების შეიღოთა შორის იქნება ნიჭი იშვიათი მოვლინებაც არ იყვეს და ჩვენც ჩვენს სიზაჯიასა და თანავგრძობას ყველა ნიჭიერს როდი ვაღწუწუთ ხოლმე. რიგიანის წრის სიყვარულსა და პატივისცემას სწორედ რომ მართა ადამიანის ღირსება, სულის პატიოსანი და მაღალი თვისებანი, კაცის უნავარო და ხასარგებო საზოგადოებრივი მოაჯიგვობა დაიმსახურებს. ჩვენთვის კუშმარტებასა და შევნიერებასთან ერთად დიდი ფასი აქვს ჰუმანურს, კეთილშობილურს, მაღალს უნებრავს საქციელს, რომელიც არის ნაყოფი, ღიძლი შეილი წმინდა, სპეტაკი გული და სულია. ვინ ამბობს, ნიჭი ბუნების ძალა და დიდი, მეტად უადრესი შინაშენილობაც აქვს კაცთა საზოგადო ცხოვრებაში; ბუნება ზღვა და ხმელეთი, მთელი თვალ-გადასაღწეველი არე-მარე და თვით საწყაროც ტურფა და შევნიერება, — შევნიერებასაც ხმა დიდი უადრესი შინაშენილობა აქვს ჩვენთვის. თვით ჩვენივე, ადამიანთა გონება, მეცნიერება უდიდესი და დაუშრეტელი ცხოვრების წყაროა კუშმარტების შემეცნებისა, ჩვენივე ყოფის წარმატებისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ პატიოსანის კაცის დაჭრილი, შეწუხებული და გამწარებული გული მხოლოდ და მართა ნიჭის ძალასა, პირაზღილს, შიშველს შევნიერებასა რ სიტურფეს, მშრალს კუშმარტებას კი არ შეშხარის დღეს. ჩვენი გონებობა-გონება ვადამეკლარია და ვიქვს ადამიანთა საზოგადოების თვითოეულს წრისათვის თანაბარს სამართლიანობას, „მართალს“, კაცთა შორის შესაძლებელსა და შეტყფინილს სინიდილს, მომქეთა „კეთილ-დღეობას და სწორ-წარმატებას“, რომელსაც ესეთი მცირეოდენი ადგილი უჭირავს დღეინდელს ცხოვრებაში. და იმ სამართლიანობის დედა-აზრის ხორც-შესხმასა და დამკვიდრებას უნდა შევწიროს ქვეყნის შევნიერებულ შეიღოთა, ინტელიგენციის მთელი ძალ-ღონე და ცხოვრებაც... და ეს საქმეა ის, რაზედაც უთითებს აკაკი მდიდარსაც და ღარიბსაც, რომ იყოს „პატიო-

სანი, შრომის მოყვარე, საზოგადო კეთილ-თანამგრძობი და თანამოზიარე“. თუმცა, კოტა არ იყვეს, მიმივე, რიტორულის ლექსებით, მაგრამ თითქმის ამსვევედრება მეორე პოეტის „ქართულის დედას“:

„დღეადე! ისინი ქართველის ვედრება: ისე აღზარდე შენ შეილის სული, რომ წინ ვაუტყვეს კუშმარტება, უკან ჰრჩეს კვალი ვანათლმეული“.

და იმიტომ, რომ საქართველოს შეიღს წინ ვაუტყვეს კუშმარტება“ და „უკანაც დარჩეს კვალი ვანათლმეული“, — რა არის საჭირო?

დღეს წარმატებულ ერთა ლიტერატურა, სწავლა მეცნიერება და, საერთოდ რომ ვთქვათ, გრძობა-გონება ინტელიგენციისა იმდენად განვითარდა, შეუმუშავდა, რთული შეიქმნა და გამრავალგვარდა, თან ვაუაქიზდა და განსპეტაკდა, რომ ყოვლად შეუძლმეულია, როგორც ვთქვათ, მართა ერთმა ნიჭმა კაცისამ საზოგადოებისათვის რაიმე სასარგებლო და სამკვიდრო მოავგაროს ცხოვრებაში და დასტოვოს „კვალი ვანათლმეული“. ამ წინწყასლის ინტელიგენციას, ლიტერატურას და სწავლა-მეცნიერებას, პოეტი გინდა სხვა მწერალი ცალიერი ნიჭით ვერ მოეწეა, ვერ შეუფერებს თავის ძალ-ღონეს; ვერც შესძლებს გზა-და-გზა აეღვენოს და მიჰყვეს მის მოძრაობასა და კერჩხალს. ამ გვარს პოეტს — მწერალს, უტყველია, ცხოვრების მრისხანე ქარიშხალი სადმე ვანზე ვარიცხოს და, ადვილადაც შესაძლებელია, მოიძპოს იგი სრულიად უმნიშვნელოდ და უსარგებლოდ ქვეყნისა და ერისათვის. აქ ყველასფერი შემთხვევისა და ვარემოების საქმეა.. მაშასადამე, პოეტისათვისაც ისე, როგორც საზოგადო ასპარეზზე მოღვენისათვისაც, აუცილებლად საჭირო ყოფილა გრძობა-გონების ვანიერება, ვაუართობა, ნიჭის ნაყოფიერი ვარჯიში და მოძრაობა, თავის სამშობლოს და წარმატებულ ერთა ისტორიისა, ლიტერატურისა და რეალური ცხოვრების შესწავლა, ვაუცნობა. ჩემი პირადი დარწმუნება ისეთია, რომ არა მკონია, ასეთმა, მოთხოვნილებამ, ასეთ ნიჭიერად სანგის წამოყენებამ რაიმე შესაშნევე დაბრკოლება, ენება და ზარალი მისცეს ნიჭის მაღლიანობასა და იმის თვისებებთა ვითარების საქმეს...

ახლა ვეკითხოთ: აკმაყოფილებს ამ მხრით ჩვენს მოთხოვნილებას ი. დავითაშვილი, თუ არა? სამწუხაროდ ვერა... სრულიადაც ვერა.

ხომალეო.

(შემდეგი იქნება)

მორს წამსვლელს ქმს.

მამე, გაგზორდი და გული
 რარიკად მემწუხარება;
 შორს გგზანე, გული მიტირის
 თვალეი მიწულანდება,
 ათასი ფიქრი და დარდი
 ცხელს გულში მიტრიალდება.

ენ იცის, რამდენს ეიფიქრებ,
 სიკვილიც მომაგონდება,
 რა მოგვკვდ, შენი გულზედა
 ცრემლი არ დამაგორდება,
 იმის მაგიერად ციეს საფლავს
 ციეი ქვა მოავორდება.

თუ მოგვკედ დაწუხებულ
 დაწუხებულმა მიტრირე,—
 ეს გულიც ქვეყნის პირითა
 ცეცხლ მოდებულ საკარე, —
 იქნება ვინმე გამოგვყვს
 მოზარედ, ისიც ატრირე!

მაგრამ თუ ლმერთმა გეცაცხლა
 მანამდე ჩენი ძმებითა,
 ვით მაკაბელნი ბოძოლამი
 გაეწუცდებით ხელში ხმლებითა
 და სამოთხის კარს წაედგებით,
 ვით ანგელოზნი ფრთებითა!

1993 წ.

თ. რაზიკაშვილი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე მ ბ ა .

მეინერი სალამო იყო. უსაზღვრო ცის ლურჯი
 გამარა გულის დამატკობელი სიმშვიდით და-
 მყურებდა იაკამად დაღუმებულს მწვანე არე-
 მარეს. მისის გრილი ჰაერი სიცოცხლეს ჰფენდა ცას-
 ქვეშეთს. მთელი დღის განმავლობაში მუშაობით
 მოქანცულმა კაცია მუნჯადმე მიაყუდა თოხი კუთხე-
 ში, დაჯდა სახლის წინ ბელტზე და დაუძახა ცოლს:

— ეესარიე! თუ ქალი ხარ, დროზე გააკეთე
 ეანშამი. ისე ვარ მოღალღული, რომ ძეალი ცაქმ
 მაქ და ბილი ცაქე.

კაცისა უმცროსმა ბოეშებმა გაიგონეს მამის ხმა
 თუ არა, „ბაბაი. მოსულა ყანიდან“—ო დაიძახეს
 გამოცენდენ გარედ პატარა ქოხის მზვავისი სხალი-
 დან და შემოებენ თავიანთ საყვარელ „ბაბას“.
 უმცროსები ერთი იქით დაუჯდა მუსლზე და ერთი
 აქეთ. მესამე ბოეში წინ გაუჩერდა და წვერების
 ფუქქნა დაუწყო. „ბაბა“ წითელი პელანგი მომიტა-
 ნე?“ ევითებოდა სულ უმცროსი ორ წლი-ნახევრის
 ეაჟი. „ხეალ, ხეალ მოგიტან შეილო“, დაპირდა კა-
 ცია პაწია შეილს და აღერსიანად მიიქრა გოაფლია-
 ნებულ შიშველ მკერდზე. ამასობაში კარზე მოდგა
 კაცისა მუღღო, ეესარია, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ლა-
 მაზი სახის ქალი და უთხრა ქმარს:

— პაწია კიდევ და პა, ახლავე გამოცხება მკა-
 ლა.
 ეესარია ხედავდა, რომ ქმრის დაფლეთილი პე-
 რანგი, რომელშიაც ბეერგან მოჩანდა მხისგან და-
 მწვარი წითელი კანი, ერთობ ოფლით იყო დასვე-
 ლებული. ამიტომ თითონაც ჩქაროდა—აღრე მიერ-

თმია ქმრისთვის ეანშამი და მოცეცენებინა ეს შრო-
 მით დამაშვრალი აღამიანი.

— ე, კლამ დამაიწყუტა, სამშაფათ გამთენიერს
 მე ტღლათამ გასაყიდი სიმინდი უნდა წვეილოთ, ურბით.
 ურემი ბეტრიას გამუართვით ქირაზე, ხარი დათიეის
 იქნება და ცალი ჩენი, უთხრა კაცია ცოლს.

— მაღლობა დმერთს! ამ საცოლდეე ბაღნებს
 ერთს დაემოსავდეთ, თვარა მეტი რა მინდა—სიხა-
 რულით თქვა ეესარიამ.—სხეი სხეია და მარინანის
 სიცოლდეე თლა მომკლა ქალი. გუშინ, შეილო. მთე-
 ლი ღღეი იტირა—ამხელა ქალი ვარ და ხორცის
 დასაფარავი აფერი მაქა. დევიწვი, სხეი რაი!

— მე არ მწეაედა, გგონია, სიცოლდეე ავინი რომ
 შიშველი მყედა! ღმერთო შენით, აგერ, აგერ სამ-
 შაბათს, იგი სიმინდი თუ პაწია ხეირიან ფასათ გე-
 ეიდა, ყველას დაემოსავ, ერთ საკაბეს შერე მოგი-
 ტან, იმედიანად თქვა კაცია.

— მე არა, იგი პერანგი რომ არ გაცეია, ბაღ-
 ნებისზე თუ რამე მოგჩრეს, ერთი საპერანგი იყიდ
 შენ და ჩემ თავს არ ეჩიეი. უთხრა ეესარიამ და შე-
 ბრუნდა სახლში.

მარინე, უფროსი ქალი კაცისი, ამ ლაპარაკის
 დროს იქვე კარებთან იდგა და ყურს უჯდებდა მშობ-
 ლების ლაპარაკს. ეს იყო ათი, თუ თერთმეტი წლი-
 სა, შავგვრემანი, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზი, ეშხა-
 ნი პირისახისა, რომელსაც ძლიერ უზღებოდა შეე-
 შავი ღღლონი თვალეი, ეიწრა ჩითის კაბა, რა-
 მელსაც სიმეელისაგან აღარც კი ეტყობოდა, რა
 ფერისა ყოფილიყო, ისე დახეოდა, რომ ბეერგან
 სხეული უჩნდა. საბრალო ქალი თავის მშობლებთან-

ნაც კი სირცხვილით ხელებს იფარადა ტიტველა სხეულზე. როცა სტუმარს დაინახადა მარინე მირზა და სახლის უკან, რომ დაშალულიყო. ახლა კი მარინემ რომ გაიგო, მამას სიმინდი მიაქვს გასაყიდალ და კანას მიყიდისო, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

მარინეს მომტანო სამ ბავშვთან შხოლოდ ერთს ზოლებ-ზოლებად ეცადა წინ-და-უკან პერანგის წაშოი. ორი ბოეში კი სულ ტიტველი იყო. ესენი ხომ რა? მოსვენებას არ აძლევდენ მამას — „როის გვიყიდი პერანგს“-ო, მეტადრე უმტროსი, ყოველ საღამოს ჰკითხავდა ყანიდან მოსულს კაცებს—ბაბა პელანგი მომტანე“-ო.

რამდენი ხანია ეშხადებოდა კაცია—ურმით სიმინდს წაეიღებ, გავყიდი და ცოლ-შვილს დავმოსავო, მაგრამ ხან ხარი ვერ იშოვა (თითონ კაცისა კი ცალი ხარი ჰყავდა), ხან ურემი, ხან წიფა მოვიდა და იმან დაუშალა გამოწყობილი მგზავრობა, ხან კიდევ სხვა საქმე გამოვიკრა და აქამომდე დარჩა კაცისა შვილები დაუმოსავად. შხოლოდ ახლა კი სრული იმედი ჰქონდა კაცისა, რომ ევლარაფელი გადაეღობებოდა წინ მის მოგზაურობას, რადგანაც კარგი დარი იღვა და კაციაც ყოველიფრით შხად იყო. ამ გარემოებამ დიდი სიხარული გამოიწვია კაცის ოჯახში: დიდსა და პატარას სიხარული ენატებოდა სახეზე. გლეხ-კაცისას საქმარისია ერთი უბრალო რამ გამოარჯევა საქმეში, რომ ოჯახში საზოგადო სიხარული გამოიწვიოს.

ის იყო, კაცია და მისი ცოლ-შვილი ეშხადებოდენ ეახშმის საქმელად, რომ ეილაქამ ჩაახველა ჰისკართან და „კაციელა“-ო დაიძახა. — დასწყევლოს ღმერთმა: ნახავ, თუ ახლა გზის სამუშაოზე არ გამოიწვიონ! გაჯაერებით თქვა კაცია და გასწია ჰისკარისკენ.

— კაციელავე, იცი რეიზა ვარ მოსული? დღეს მამასახლისმა გამოგვიცხადა—ამელამ ერთი ძალიან დიდი კაცი გვიარს მაშინი და რკინის გზაზე ყალაურები უნდა დააყენო. რეიზა კაცი უწყვეს ჩემს საწავკლოს. ერთათ შენ უნდა წახვიდე, მეტი გზაი არ მაქვს, უთხრა ნაცელმა (გზირმა) კაციას.

ეს განკარგულება—ახლო-შხლო სოფლებიდან რკინის გზის ლიანდაგზე დარაჯების გზენა კარგი ხანია არსებობდა, პირველად ბოქაულმა გამოუცხადა რკინის გზის მახლობლად მცხოვრებ გლეხებს—რკინის გზის ლიანდაგზე მტარებელი ხშირად ეტაკება საქონელს. ამიტომ ან ღობე გავაღეთ ლიანდაგის გასწვრივ და ან დარაჯები დაუყენეთ, რომ საქონელი ევლარ გავიდეს ლიანდაგზედაო. გლეხებმა უარი

განახადეს—არც ერთი შეგვიძლია და არც მოვრეო. ამ ხელად ბოქაულმააც აღარ დაატანა გლეხებს ძალა და ამ რიგად თითქოს ეს განკარგულება ჩაქრა მაგრამ რამდენსამე ხანს შემდეგ, როცა მტარებელი დაეტაკა კამებს, ორთქლით მავალი ლიანდაგიდან გადავარდა, რამდენიმე ვაგონი დაიმტერა და კონდუქტორებიც დაშედენ, მამასახლისს მოუვიდა წერილობითი განკარგულება—უტკველად დარაჯები უნდა გზენო რკინის გზის ლიანდაგზე, თორემ პასუხისგებაში მიეცემითო. ერთი-ორი თვის განმავლობაში ეს განკარგულება სასტიკად სრულდებოდა. შემდეგ კი, რადგანაც მეტად საძინელო იყო შეუშვეს ხელი თუ დიდს ეინმე მთავრობის პირთავანს მოელოდებოდენ რკინის გზით; დააყენებდენ დარაჯებს, თორემ და იყო თაემინებულეთი იმ დამეს კი, როცა ნაცელმა კაცია გააწვია სადარაჯოს, უნდა გაველო ერთის „მძალერს ამა ქვეყნისა“.

— კაცო, რა არის ყოველთვის მე რომ მომხატები! კანოლით ახლა მე არ უნდა შემხედროდა ყალაურებმა, უთხრა ნაცელს კაცია.

— რეიზა ყოველთვის? ამას წინად არ იყო სამუშაოზე წასვლა რომ გაპატივე? უპასუხა ნაცელმა.

— მაგიერი მე ყანაში მოგვებმარე.

— ამელამ წაიღ რკინის გზაზე, ერთი დღეც შინ მომებმარე ყანაში და იმ კვირას რომ სამუშაოზე წასვლა გიწვეს, იმას გაპატივებ, უთხრა ნაცელმა, რომელიც ხან-და-ხან გლეხებს ერთ-ორ დღეს თავის ყანაში ამუშავებდა და სამაგიეროდ საზოგადო გზაზე მთელი კვირის მუშაობას ააღებდა.

— კაი, რაღა ექნა? წავალ ამელამ სადარაჯოთ, თქვა კაცია და თან უფლაშებში ჩაიციან, რადგანაც ერთი კვირის მუშაობა ააღებდა თაეიდან და ეს კაი საქმე იყო მარტობელი გლეხისათვის.

— აბა ჰა, არ მიოლატო, თვარა სიმბირს გაგვაგზავნიან მეც და შენც, დაბარა ნაცელმა.

— კაცო, როდის მომტკუებენარ, რომ ახლა მოგატყუებ, დაამედა კაცია.

— რაიო? ჰკითხა სახლში შესვლისთანავე კასარიამ მუფულეს.

დიდ კაცი მომრძანდებდა და რკინის გზაზე უნდა იდარაჯო.

— მერე რავე შეგიძლია ამ მოლალოლ კაცს?

— სამუშაოზე წასვლას გაპატივებო, პაწია საქმე არ არის ჩვენდა.

— პაწია არა, ძალიანი საქმეა, თუ კი გვაპატა.

— ძალიანი ხო... მარა ესე ვარ მოთეტქელი რომ... დასაქცეველი მივალ ამელამ აგი მოლალოლ-კაცი, ერთს გემოთ დეციინებ-მეთქინ-ვიფიქრე, მანც და მინც ანელამ გამოსკტა დიდი კაცი და ყველა!

— რა ექნა მე უბედურმა! ნეტაი შემეძლოს და მე წვეილოდე, თანა გრანობით უთხრა ცოლმა.

— კაია რომ წაზვიდოდე, იმ ყარაულეებს ამელდა თაეს შვაქციეებ. ცოდევა მოსწყინდებთ, ეხუმრა კაცია.

— ჰო, შეწებური, დეიწვე ერთი ხუმრობა. ესე არ ვიხივი მე.

— ჩივილი რათ გინდა თუ სიკეთეს უზამ, ბარემ უჩივლეღათ ჯობა.

— მოჰყევი შენებურა, შენ ფინთო შენ! ალერსიარად უთხრა ამ ხუმრობაზე ქვარს კესარიამ.

ვან შამზე დაწერილებით მოილაპარაკეს კაციამ და კესარიამ: თუ რამდენი სომინდი შეუძლიათ გაიმეტონ გასაყიდად, რა და რა სამზადი დასჭირდება სამშაბათისთვის კაცის და სხვა.

ნავაზშევეს კაციამ ვამოიღო თაიისი თოფი მხარზე „ქუყუთ იყავითო“ დაბარა ცოლ-შვილთ ჩვეულებრივად ღ წავიდა. „სად მიხვალ, მამა? წითელ პელანგს მომიტანა?“, მიაძახა უკან კაცის უმკროსმა შვილმა.

— უი მათ დიდ კაცობას! ამ მოდალულ კაცს რა გააჩერებს ამელამ უძინარად, თქვა კესარიამ.

ე. ნინოშვილი.

(შემდეგი იქნება)

ს ა ხ შ მ ა რ ო მ ა ს ა რ თ ო ზ ბ ი

გოჯასანიარ და ივანიაკა



გოჯასანიარ. რატომ ხარ, ივანიაკა, ევრე დაღერე-მილი?

ივანიაკა. ამ ქვეყნის ვერაფელი გვეივ. ავი ჩენი მეთაური კაცები რას შობიან, რას ჩაღიან?... პატოსან კაცს არ დეეჯერება მათი საქციელი.

გოჯასანიარ. როგორ, ივანიაკა...

ივანიაკა. რაე რაო, შე მამა ცხონებულო! ჩენი რომ მეთაური გვეგონა, სულ ქვეყნის საქმეებზე ზრუნვით გვიყრუებდა ყურებს, ამ კაცს ოღლია საზოგადოებისგან შეწყრიული რაცბა გროშები, ჩოუღვია

ჯიბეში და ეს ათი წელიწადია კირნტიც არ გოულა? გოჯასანიარ. მა რა უნდა ექნა? მიუბარებიათ და

იმასაც შეუნახავს. მე თუ მივიხივებ, საზოგადო მოღვაწე ევ ყოფილა. აბა, მიდი ეისმისთან, სიხოვე, თუ კულ-მოჭირილი გოჭიც ვინ-მე შეგინახოს უფუსოდე! მაგას ხომ არა აუღლიარა შესანახავი. მაგ კაცს ათი წელიწადი სხვისი ფული ჯიბით უტარებია, განა მაგას კი სამაგიერო ჯილდო არ უნდოდა! მამაშვილო... ბამ, სხვა აღარც კი გიჩივინებდა. დაღვოსტობას წა-მოაყენებდა წინ.

ივანიაკა. რაე გვეკადრება, შე დალოცვილო, ყოველი-ფერ უხაკობას ამართლებ... აბა, ბატონო გოჯასანიარ, თქვენი აზრით ისიც გასამართლებელია, რომ ქალაქის მოურავად ვინცა პატრიოსანი მიბაღოსნე ყოფილა, ის უნდა ამოირჩიონო?

გოჯასანიარ. ევ თუ მართალია, ჩინებული საქმე იქნება, ოღონდ კი ჯარგი მიბაღოსნე იყოს. რას ბრძანებ?... ტფილისში მტვერმა დაეგანჩიო და ევრე... თუ მართალია ევეთი კაცია, როგორც შენ ამბობ, უთუოდ დიდი სასარგებლო იქნება ქალაქისთვის.

ივანიაკა. თურმე დალისტის ხორბებზე და კლდეებზე სულ ბაღები გოლშენებია.

გოჯასანიარ. ნამდვილი საშოურაო კაცი ევ ყოფილა. დაეკრათ ბუკი და ნაღარა, რომ ევ კაცი ამოგვიჩიონ. მიხუშრები?... ტფილისის პიტალო ადგილები და გამხმარი გორაკები რო ბაღებად გადაევიტეოს, მერე ზამთარ-ზაფხულ ვინლა მოცილდებო ქალაქსა. დაეჯეტი, შენმა შვიმ, მთაწმინდაზე და მოიდვი რუმბი ლენო, შეეცეკე ლენითა და დიშლოპორტო ნლარაით. რას ბრძანებ, სამოთხე იქნება ჩენი ქალაქი, სამოთხე, ევ რო მოხდეს.

ივანიაკა. მერე რომ გააშაფონ?... გოჯასანიარ. მაშინ დეკრათ

დიშლოპიტრა ხმოვანი; სხვა რაღა ექნათ?... ეიწყათ ოხერა-გლოვანი...

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.